# საბჭოთა ოლიმპიური რაზმი

მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს 401 საბჭოთა სპორტსმენი, მათ შორის, 99 ქალი. ასე გადაწყდა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც 27 აგვისტოს გაიმართა მოსკოვში. XIX ოლიმპიადაში საბჭოთა სპორტული დელეგაციის მონაწილეობაზე ინფორმაციით გამოვიდა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ვ. სავინი.

საბჭოთა სპორტსმენები იასპარეზებენ კალათბურთში, კრივში, ჭიდაობაში, ველოსპორტში, ფრენბურთში (ქალები და ვაჟები), წყალბურთში, ტანვარჯიშში (ქალები და ვაჟები), აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში (ქალები და ვაჟები), ცხენოსნობაში, მძლეოსნობაში (ქალები და ვაჟები), აფროსნობაში, ცურვასა და წყალში ხტომაში (ქალები და ვაჟები), თანამედროვე ხუთჭიდში, სროლაში, ძალოსნობაში, ფარიკაობაში (ქალები და ვაჟები).

საბჭოთა გუნდები არ გამოვლენ მხოლოდ ფეხბურთელთა და ბალახის ჰოკეის ოსტატთა ოლიმპიურ ტურნირებში.

მეხიკოში გაემგზავრებიან მწვრთნელები, ექიმები, მასაჟისტები და სხვა სპეციალისტები. საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა მიწვევით ოლიმპიადაზე ჩავა მსაჯთა დიდი ჯგუფიც.

პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ი. კაზანსკის მოხსენება ოლიმპიადის პერიოდში გასამართავ კონგრესებზე და საერთაშორისო სპორტულ გაერთიანებათა თათბირებზე.

სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ს. პავლოვი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 170 (3654)

29 1968 წ. აგვისტო, ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.



1968 MEXICO

# მექსიკის ნაკრების იმედები

მეხიკოში ჩასული კაცისთვის დღეს XIX ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი ბრძოლის ველს ჰგავს. ქუჩებში ბულდოზერები მუშაობენ, უმოწყალოდ ინგრევა ძველი სახლები...

მაგრამ განსაკუთრებით გულმოდგინედ ოლიმპიადისთვის მექსიკელი სპორტსმენები ემზადებიან. დამთავრდა ბევრი სპორტული ბაზის მშენებლობა. ოლიმპიურ სპორტულ ცენტრში ყოველდღიური წვრთნაა გაჩაღებული. ეროვნული გუნდის მოსამზადებლად მექსიკაში მრავალი ქვეყნიდან მიიწვიეს გამოცდილი მწვრთნელები. ამჟამად მექსიკის ოლიმპიურ გუნდში 410 კანდიდატი იწვრთნება (347 ვაჟი და 63 ქალი).

საგანგებო კომისია შეარჩევს 300 საუკეთესო სპორტსმენს, რომლებიც ოლიმპიადის ორგანიზატორის ღირსებას დაიცავენ.

* * *

სურათზე: წყალში მხტომელ ქალთა ოლიმპიური გუნდის მწვრთნელი მ. ტოვარი რჩევას აძლევს თავის მოწაფეებს ბ. ბარალდის და დ. ჰ. ერნანდესს. ტოვარი ორჯერ იყო სსრ კავშირში წყალში მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრებების სანახავად, საბჭოთა სპორტსმენების გამოცდილების შესასწავლად.

ფოტო ე. სარატოვისა (საკდესი).



## დახმარებას გვთხოვენ

### რატომ თვითნებობს ბათუმის № 5 სამშენებლო ტრესტი?!

ხულოს რაიონის სოფელ რიყეთში სკოლა შენდება. პროექტით გათვალისწინებულია სპორტდარბაზის მშენებლობაც, მაგრამ ბათუმის № 5 სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელები რატომღაც უარს აცხადებენ ამ სამუშაოს შესრულებაზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ხულოს რაიონი მაღალმთიანია და არც ერთი სპორტული ნაგებობა არა გვაქვს, გასაგები გახდება ჩვენი გასაჭირი.

იქნებ, თქვენ დაგვეხმაროთ...

ი. კოჩალიძე,
ფიზაღზრდის მასწავლებელი.

# ჩემპიონთა ვაკანტური ადგილები

რომი, 27 აგვისტო. (საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ა. ერმაკოვი, ვ. პოპოვი). ხუთივე საბჭოთა ველოსიპედისტი ქალი განაგრძობს ბრძოლას ტრეკზე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის, ორმა შარშანდელმა ჩემპიონმა კი უბრძოლველად დათმო თავისი ტახტი. ესენი არიან ვ. სავინა და თ. გარკუშინა. სავინა, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ჩემპიონატში მეოთხე იყო და ამის გამო იტალიაში ჩამოსული გუნდის შემადგენლობაში ვერ მოხვდა. საბჭოთა კავშირის წლევანდელ ჩემპიონს გამოდევნებით რბოლაში თ. გარკუშინას კი ბედმა უმუხთლა: რომში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე დაეცა ტულის ტრეკზე და მაინც, იმედი გვაქვს, რომ მსოფლიოს ჩემპიონები საბჭოთა სპორტსმენები გახდებიან.

გუშინ საღამოს სპრინტერთა მხოლოდ პირველი მეოთხედფინალური სერიების მოწყობა მოხერხდა: უეცრად წამოსულმა ხანმოკლე, მაგრამ კოკისპირულმა წვიმამ ასპარეზობა შეწყვიტა.

ხისსაფარიანი ტრეკის გაშრობას დიდი დრო დასჭირდა. ნახერხის დაყრამ ნაყოფი არ გამოიღო. დამლაგებელ ქალებს, რომლებიც ვირაჟებზე ფუსფუსებდნენ, ფოტოკორესპონდენტთა გასახარად წამდაუწუმ უცდებოდათ ფეხი და კოტრიალით მიდიოდნენ ძირს.

და მაინც, ორგანიზატორებმა სცადეს შეჯიბრების განახლება. არ უშველა პირჯვარის გადაწერამ იტალიელ ე. მაფისს — იგი სტარტზევე დაეცა. იმავე სერიაში ცრუ სტარტის შემდეგ მაფისის ბედი გაიზიარა რ. ობოდოვსკაიამ. მაგრამ სპორტსმენები არ დაშავებულან — შეჯიბრება მათ დღეს განაახლეს.

მაფისმა რბოლა მეტოქეზე სწრაფად დაიწყო. ყური მოვკარით, როგორ გააფრთხილა ობოდოვსკაია სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ბ. ვასილიევმა „მინუს სამი". იქვე გვერდით მდგომმა იტალიელმა გამხნევების მიზნით რაღაც მიაძახა: „მიდი, მიდი!"

სამმეტრიანი სხვაობა რაიამ საკმაოდ სწრაფად დაფარა. სამსაჯო პისტოლეტის საფინიშო გასროლამ გვაუწყა, რომ 3 კილომეტრის გავლას ობოდოვსკაიამ 4.08,73 მოანდომა. 4 წუთისა და 68 წამის შემდეგ დაამთავრა რბოლა მაფისმა.

ნ. კარატაევამ დაამარცხა იტალიელი მ. ტარტანი. გამარჯვებულის დრო 4.05,74. ნახევარფინალში გავიდნენ, აგრეთვე, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, ინგლისელი ბ. ბარტონი—4.05,83 (აჯობა ამერიკელ ა. ელმურს) და ჰოლანდიელი კ. ჰაგეც, რომელსაც მეოთხედფინალში საუკეთესო შედეგი ჰქონდა — 4.03,64.

ნახევარფინალში მეტოქეები შედეგების მიხედვით ასე დაწყვილდნენ: ჰაგე — ობოდოვსკაია, კარატაევა — ბარტონი.

სპრინტერული რბოლის პირველ მეოთხედფინალურ სერიაში ი. კირიჩენკომ დაამარცხა იტალიელი ი. ლონგარი, გ. ერმოლაევამ — ინგლისელი ბ. სვინერტონი, ხოლო ჩემპიონატის დებიუტანტმა ა. ბაგიანცმა — გდრ-ის წარმომადგენელი კ. შტიუვე. აღსანიშნავია, რომ ბაგიანცს ბოლო ორას მეტრზე საუკეთესო შედეგი აქვს—12,83. ჩვენი ტრიო თავის კონკურენტებს მეოთხედფინალში კიდევ ერთხელ შეხვდება.

◆ რომი, 28 აგვისტო. სსრ კავშირის ველოსიპედისტთა ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრმა რ. ობოდოვსკაიამ (ხარკოვი) მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება გამოდევნებით რბოლაში. ადგილობრივ ტრეკზე გამართულ მწვავე ბრძოლაში მან დაამარცხა ინგლისელი ბ. ბარტონი — მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონზე 1,53 წამით ადრე გადაკვეთა ფინიშის ხაზი. 3-კილომეტრიანი დისტანცია ობოდოვსკაიამ 4 წუთსა და 01,14 წამში დაფარა. ვერცხლის მედალი ბარტონს დარჩა, ბრინჯაოს მედალი კი ჰოლანდიელმა კ. ჰაგემ დაისაკუთრა. IV ადგილზეა ჰაგესთან სერიაში დამარცხებული, 22 წლის ალმაათელი სტუდენტი ნ. კარატაევა. სალიდერო რბოლის ფინალში ვერ გავიდა მ. მარკოვი: საბჭოთა ველოსიპედისტს სანუგეშო სერიამ ნუგეში ვერ მოუტანა. შეიძლება ცემენტის სარბიელზე დიდი გამარჯვებების შემდეგ იგი ვერ შეეგუა „მჩატე და სწრაფ" ხისსაფარიან ტრეკს, ან, იქნებ, ამჯერად იგი

## საათი

მთლად კარგად ვერ „წაიყვანა" ახალგაზრდა ჰოლანდიელმა მოტოციკლისტმა ბ. ვალრავემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერაციის პლენუმზე

# ტრადიციის აღდგენა განაპირობებს მასობრიობას

თბილისში ჩატარდა საცხენოსნო სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის IV პლენუმი, რომელზეც გულახდილი და პირუთვნელი მსჯელობა გაიმართა ჩვენში სპორტის ამ სახეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საჭირბოროტო საკითხებზე.

ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე **დ. წვერავამ** აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ღონისძიებებმა საშუალება მოგვცა რაიონებში შექმნილიყო საკოლმეურნეობათაშორისო საცხენოსნო სპორტული კლუბები. ამან ხელი შეუწყო სპორტსმენთა დაოსტატებასა და კლასიკური სახეობების შემდგომ პოპულარობას. გახშირდა რაიონული, საოლქო, რესპუბლიკური ტურნირები. ზუგდიდის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირისა და ცხაკაიას იპოდრომებზე დიდძალი მაყურებელი ესწრება მოსავლის აღებასთან დაკავშირებულ შეჯიბრებებს ეროვნულ და კლასიკურ სახეობებში. ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში სისტემატურად იმართება სამარჩო შეხვედრებიც. დაიხვეწა შეჯიბრებების წესები.

საცხენოსნო სპორტის განვითარებისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო. ამას ისიც ადასტურებს, რომ უკვე 10 წელია საქართველოს სოფლის სპორტსმენები საპრიზო ადგილებს იკავებენ საკავშირო სარბიელზე. ჭაბუკმა მხედრებმა 1965 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო ტიტულიც მოიპოვეს. ბოლო წლებში ჩვენმა ცხენოსნებმა ოქროს 11, ვერცხლის 13 და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს. სოხუმელი ა. დოლჟენკო სსრ კავშირის ჩემპიონი და ოქროს დიდი მედლის კავალერი გახდა.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში ცხენოსნობის აღორძინებამ თვალსაჩინოდ გამოასწორა თანრიგოსანთა და სპორტის ოსტატთა მომზადების საქმე. მარტო 1966-67 წლებში მომზადდა 12 სპორტის ოსტატი. ეროვნულ სახეობებში 24 მხედარს მიენიჭა საქართველოს სპორტის ოსტატის წოდება. ზემდგომი ორგანოების უშუალო დახმარებით შეიქმნა ყულარის ცხენსაშენი, რომელიც სპორტულ კლუბებს უზრუნველყოფს საუკეთესო ჯიშის ცხენებით.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ნაკლოვანებებზეც. მან აღნიშნა, რომ ფედერაცია და ცალკეული სპორტული საზოგადოებები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ცხენოსნობის მასობრიობას, მცირეა ამ სახეობაში მომეცადინეთა რიცხვი. ბევრი ხარვეზი აქვს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ორგანიზაციას და მეთოდიკას. ამ მიზეზით მოისუსტებს მხედრების ტექნიკურ-ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება. მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს საცხენოსნო ბაზების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა. ცუდადაა მოწყობილი სავარჯიშო მოედნები. უხეირო და კუსტარულია დაბრკოლებები თბილისის საცხენოსნო ბაზაში, სადაც მეტწილად ნაკრები გუნდები იწვრთნებიან. ტრანსპორტის უკმარობის გამო ხშირად ფერხდება სარბიელზე დაბრკოლებების გადაზიდვა, არ კმარა ცხენის აკაზმულობა და სხვ.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სპეციალისტ მწვრთნელთა უკმარობაზე, აღნიშნა, რომ დღემდე მოუწესრიგებელი რჩება მათი მომზადების ორგანიზციის საკითხი. ყველაფერი რიგზე როდია მწვრთნელთა და სპორტსმენთა შორის აღმზრდელობით მუშაობაში.

— სერიოზულ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ისიც, — განაგრძობს მომხსენებელი, — რომ ფედერაციის საქმიანობაში ნაკლებადაა ჩაბმული საზოგადოებრივი აქტივი. ქართულ ენაზე არ გამოდის სახელმძღვანელო ლიტერატურა.

მომხსენებელმა ისიც აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში დღემდე არა გვაქვს დახურული მანეჟი კლასიკურ სახეობებში უწყვეტი წლიური წვრთნისთვის.

მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარემ **ლ. დემეტრაძემ** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ თითქმის ყველა სპორტულ ღონისძიებას ერთი და იგივე მსაჯები ემსახურებიან. არა გვყავს ახალგაზრდა მსაჯები.

მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარემ **რ. კორძაიამ** ყურადღება გაამახვილა ერთობლივი სასწავლო-საწვრთნელი გეგმის შესრულების საჭიროებაზე, თქვა, რომ ადგილებზე ცხენებს საკვები არ ჰყოფნით.

— ცხენების ისეთი საიმედო მარქაფი, როგორიც ახლა გვაქვს, არასოდეს გვქონია, საჭიროა მხოლოდ ზემოხსენებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება, რათა სასურველ შედეგს მივაღწიოთ, — დასძინა კორძაიამ.

გალის საკოლმეურნეობათაშორისო საცხენოსნო კლუბის უფროსმა **ა. ჩიკვატიამ** თქვა, რომ კლუბში შემავალ 8 საბჭოთა მეურნეობიდან მხოლოდ 3 მეურნეობა ეხმარება ბაზას. ამასთან, კლუბს 4 წელია არც ერთი ცხენი არ უყიდია.

წალენჯიხის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარემ **გ. მეზონიამ** სინანული გამოთქვა იმ უყურადღებობის გამო, რასაც რაიონში საცხენოსნო სპორტის ტრადიციების მიმართ იჩენენ. უქმადაა კეთილმოწყობილი იპოდრომი, სადაც იშვიათად თუ გამოჩნდება მხედარი.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ქლენტი**.

კამათში საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, რესპუბლიკის საცხენოსნო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარემ **მ. ლვინჯილიამ**.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **მ. ბალავაძემ**.

• • •

ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს მ. ლვინჯილია. მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია რ. კორძაია, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ — ლ. დემეტრაძე.

## აქ უყვართ ველოსპორტი

ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება სოფლის ახალგაზრდა სპორტსმენთა პირველი თამაშები, რომლის პროგრამით ქობულეთში ველოსიპედისტთა ასპარეზობა გაიმართა. შეჯიბრებაში 30-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

25 კილომეტრზე ვაჟთა ინდივიდუალური რბოლა მოიგო ქობულეთელმა ა. ვლასენკომ. იგი უძლიერესი იყო 50 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაშიც.

ჭაბუკთა 15-კილომეტრიან დისტანციაზე ბადალი არ ჰყავდა ბათუმელ ვ. კრევდიასოვს. ქობულეთელმა ლ. ტარაპატოვამ მოიგო ქალთა 15-კილომეტრიანი რბოლა.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი წილად ხვდათ ქობულეთის ველოსიპედისტებს.

(ჩვენი კორ.).

ქობულეთი.



✦ გურჯაანი

„კოლმეურნის“ რაისაბჭომ მოაწყო შეჯიბრება ველოსპორტში, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. კარგი მომზადება გამოამჟღავნეს ბაკურციხელებმა შ. მესხიშვილმა, ნ. ტორიაშვილმა, ჩუმლაყელებმა ლ. საფარიშვილმა, ვ. ბერულაშვილმა, ა. რუხაძემ და ქოდალოელმა ე. პიტიურიშვილმა.

ი. ოდიშელიძე.

## ხელბურთელები იწყებენ

# ხვალ



ლიტვის პატარა ქალაქ მაჟეიკიაში იწყება სსრ კავშირის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ხელბურთში (ვაჟთა შორის).

კენჭისყრის შედეგად საქართველოს „კოლმეურნის“ ნაკრები პირველ ქვეჯგუფში მოხვდა. მასთან ერთად ფინალის საგზურისთვის იბრძოლებენ თურქმენეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის გუნდები.

II ქვეჯგუფში გამოდიან ბელორუსიის, უკრაინის, ყაზახეთისა და უზბეკეთის ხელბურთელები, III — ლიტვის, მოლდავეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის კოლექტივები, IV — რსფსრ-ს, ლატვიისა და ესტონეთის წარმომადგენლები.

ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი გაითამაშებენ I-IV ადგილებს, II ადგილებზე გასულნი—V-VIII, III ადგილებზე გასულნი — IX-XII, ხოლო IV ადგილებზე გასულნი — XIII-XV ადგილებს.

ქვეჯგუფებშიც და ფინალშიც გუნდები თითო წრედ გაითამაშებენ პირველობას.

## სარბიელზეა 250 პიონერი

ამას წინათ ქობულეთში მოეწყო აქ განლაგებული რესპუბლიკური პიონერთა ბანაკების სპარტაკიადა, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. სარბიელზე გამოვიდა ექვსი პიონერული ბანაკის 250-ზე მეტი ნორჩი ფიზკულტურელი.

სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა და ფეხბურთი.

კალათბურთში უძლიერესნი აღმოჩნდნენ ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა შვილები. მათვე დაისაკუთრეს I ადგილი ფრენბურთელ გოგონათა ტურნირში.

ფეხბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში ჩემპიონები გახდნენ ვაჭრობის მუშაკთა ბანაკის პიონერები. ნორჩ ფრენბურთელთა შეჯიბრებაშიც მათ ისახელეს თავი.

მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირში გაიმარჯვეს ე. საპოჟნიკოვამ (ვაჭრობის მუშაკთა), ნ. ლანჩავამ (მეშახტეთა) და მ. ახმედოვმა (მენავთობეთა ბანაკი).

ცურვაში ყველას აჯობეს მენავთობეთა ბავშვებმა. პირად ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ ა. მარჯანიძე და გ. დუროვი.

გუნდურ შეჯიბრებაში I-II ადგილები გაიყვეს სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა (უფროსი მ. საჯაია, ფიზაღზრდის ხელმძღვანელი დ. თოფჩიშვილი) და ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ბანაკის (უფროსი კ. ჯაიანი, ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ო. დევიძე) სპორტსმენებმა. III ადგილი დაიკავა ნახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტს პიონერთა ბანაკმა (უფროსი ა. რობაქიძე, ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ა. გვეტაძე).

გამარჯვებული კოლექტივები და სპორტსმენები ქობულეთის კომკავშირის რაიკომის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ლ. ტრაპაიძე.
(ჩვენი კორ.).

ქობულეთი.

# ერთი დღე ბიჭვინთის სპორტულ ბანაკში

გაგრიდან ბიჭვინთაში მიმავალი მგზავრი უთუოდ შენიშნავს თანამედროვე სტილით ნაგებ სამსართულიან შენობას. საერთოდ ამ შენობაში ბიჭვინთის რუსული საშუალო სკოლაა მოთავსებული, ახლა კი აქაურობას საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელები დაუფლებიან.

დილით ადრე საყვირის ხმაზე იღვიძებს სპორტული ბანაკი და იწყება სასწავლო-საწვრთნელი დღე. ბიჭვინთის ბანაკში ახლა ჯანმრთელობას იკაჟებს და სპორტულ წრთობას გადის 14-18 წლის 200-მდე აღსაზრდელი. ისინი დაყოფილი არიან ჯგუფებად, რომლებსაც ამეცადინებენ კვალიფიციური მწვრთნელები: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შალვა კილაძე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელები მძლეოსნობაში გ. მიროტაძე, ვ. ლაბუნსკი, ვ. მიცკევიჩი, ს. ქავთარაძე, ი. უშაკოვი, ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული ნ. გეგენავა და სხვ.

ბიჭვინთის სპორტული ბანაკი წლეულს გაიხსნა. საწვრთნელი ვარჯიშები იქვე, სკოლის გვერდით, სტადიონზე ტარდება. საღამოს აქ მთელ სპორტულ ბანაკს ნახავთ — მწვრთნელებსაც და აღსაზრდელებსაც. სტადიონის ერთ კუთხეში წვრთნას გადის შალვა კილაძის ბადროს მტყორცნელთა ჯგუფი, მოპირდაპირე მხარეს გალინა მიროტაძისა და ვალენტინ ლაბუნსკის აღსაზრდელები ვარჯიშობენ მოკლე დისტანციაზე სირბილსა და სიმაღლეზე ხტომაში. აქვეა სერგო ქავთარაძის ჯგუფიც. მწვრთნელები გულმოდგინედ აკვირდებიან აღსაზრდელთა ყოველ მოძრაობას, უსწორებენ შეცდომებს, ხვეწენ ტექნიკას.

... სარბენ ბილიკზეა ლიუდმილა სგონიკოვა, სსრ კავშირის გოგონათა ნაკრების წევრი. ლიუდმილამ ამას წინათ ბერლინში იასპარეზა სოციალისტური ქვეყნების მოზარდ მძლეოსანთა შეჯიბრებაში და 80 მეტრზე თარჯრბენში 11,6 წამი აჩვენა.

... ბავშვთა შორის საქართველოს ჩემპიონის გიორგი ბედოშვილის ნატყორცნმა ბადრომ ახლაც სარეკორდო მანძილი გაიარა. შ. კილაძე კმაყოფილია. იგი 40 წელია ემსახურება საქართველოში მძლეოსანთა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს და გრძნობს, კუნთმაგარი გიორგი კარგი სპორტსმენი დადგება.

... კმაყოფილია გ. მიროტაძეც: მისი აღსაზრდელი მარინა ალიაკრინსკაია ჩიტივით გადაევლო სახტომ თამასას. ამ გოგონას მოზრდილთა II თანრიგი აქვს და, მწვრთნელის აზრით, ძალიან პერსპექტიულია.

ამ დღეს დიდი გამოცოცხლება იყო ბანაკში: ქალაქ ჩერნოვიციდან დაბრუნდა სპორტსკოლის გუნდი, რომელიც იქ „სპარტაკის“ ბავშვთა სპორტული სკოლების საკავშირო პირველობაში გამოდიოდა. 100 მეტრზე რბენაში თავი ისახელა მერი ოდიშელიძემ, რომელმაც დისტანცია 13,2 წამში დაფარა, რაც მოზრდილთა III თანრიგს უდრის. 1500 მეტრზე რბენაში კარგად გამოვიდა გელა გზირიშვილი, ხოლო 400 მეტრზე თარჯრბენში — ალექსანდრე ძიომა.

ბიჭვინთაში საღამო დადგა... მზე ტალღებში ჩაიძირა, ფიჭვნარიც გამუქდა, ბავშვები დიდი ხანია დაბრუნდნენ ზღვის სანაპიროდან, მაგრამ უწყვეტო ფუსფუსი და მხიარული განწყობილება ბანაკში არ წყდება.

დღეს ირინა ევრანოვას 16 წელი შეუსრულდა. იგი მხოლოდ ორი წელია სპორტსკოლაში მოვიდა და უკვე საქართველოს გოგონათა ნაკრების წევრია. დაბადების დღის აღსანიშნავი ვახშამი და ზეიმი სკოლის სასადილო დარბაზში გადაიხადეს.

უფრო გვიან კი, ბავშვებს რომ ღრმა ძილით ეძინათ, ბანაკის დირექტორი ც. სულაძე და სასწავლო ნაწილის გამგე გ. ნადარეიშვილი კიდევ დიდხანს ფხიზლობდნენ, განვლილი დღის შედეგებსა და ჩერნოვიციდან ჩამოსული გუნდის სპორტულ მიღწევებზე მსჯელობდნენ, მომავალი დღისთვის ემზადებოდნენ.

დ. გეგენავა.

ბიჭვინთა.



# ჩაისუბანს ქაქლებოდნენ...

მიიწურა პიონერული ზაფხულიც.

საქართველოს პროფკავშირის ბავშვთა სპეციალიზებული მძლეოსანთა სპორტული სკოლის სამასზე მეტმა აღსაზრდელმა (10-11 წლის ბავშვები) ჩაისუბნის (ჩაქვი) სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკში გაატარა არდადეგები.

ნორჩი მძლეოსნები სპორტის დამსახურებული ოსტატის დ. იოსელიანისა და აჭარის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ყურშუბაძის ხელმძღვანელობით კაჟდებოდნენ და სრულყოფდნენ სპორტულ ჩვევებს.

ექსკურსიები და ლაშქრობები, ზღვა, მდინარე, თვალწარმტაცი ბუნება დიდხანს ემახსოვრებათ პატარებს.

სპორტული სკოლის აღსაზრდელები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სპრინტში, ხტომაში, ტყორცნაში, კროსსა და ესტაფეტაში. ყველა გამარჯვებული დაჯილდოვდა.

ვ. იაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ჩაქვი.

* * *

**სურათზე:** შეჯიბრება თარჯრბენში. ბავშვთა შორის, თარჯები და სხვა სპორტული ინვენტარი უმთავრესად ბანაკში, თვითონ გააკეთეს ნორჩმა სპორტსმენებმა.

ფოტო გ. გოგნიაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „...შეჯიბრების ბრწყინვალე ორგანიზაცია და გულუხვი მასპინძლობა"

წყალბურთელთა ოლიმპიური გუნდების საერთაშორისო ტურნირმა 21 აგვისტოს თბილისიდან ბათუმში გადაინაცვლა. დასკვნითი სამი ტურის თამაშები „განთიადის" აუზში ტარდებოდა.

პირველ დღეს სტუმრები ისვენებდნენ, ეცნობოდნენ აჭარის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ მწვანე კონცხზე, ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში...

მეორე დღეს ტურნირის მონაწილენი ასპარეზობაში ჩაებნენ. ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრა დაძაბული იყო. თამაშის ორი პერიოდი დამთავრდა ფრედ — 3:3. მომდევნო ორ პერიოდში ჩეხოსლოვაკიელებმა იმარჯვეს და ბულგარელთა ორ ბურთს ოთხით უპასუხეს.

მეტად საინტერესოდ წარიმართა თამაში მელბურნის, რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების პრიზიორს, ევროპის ჩემპიონს — სსრ კავშირის ნაკრებსა და საქართველოს გუნდს შორის.

ქართველი წყალბურთელები თამამად შეებნენ მრისხანე მეტოქეებს. თამაში პოზიციური ხასიათისა იყო. გუნდები ფხიზელ კონტროლს უწევდნენ ერთმანეთის მოქმედებას და ჩვენი ახალგაზრდა მოთამაშეების სახიქადულოდ უნდა ვთქვათ, რომ ისინი არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ ევროპის ჩემპიონებს. საბჭოთა ნაკრები მხოლოდ მოთამაშეთა უაღრესად დიდი გამოცდილების წყალობით დაწინაურდა. პირველი პერიოდის მიწურულში სსრ კავშირის ნაკრების თავდამსხმელებმა კარგად გამოიყენეს ყურადღების ოდნავ მოდუნება მეტოქეთა დაცვით ხაზში და აგრესიულმა სკოკმა (№ 10) შორიდან მოულოდნელი ტყორცნით გახსნა ანგარიში.

მეორე პერიოდში ქართველი წყალბურთელები მეტი გულისყურით თამაშობდნენ, მედგრად უტევდნენ მეტოქეთა კარს და არც თავისი კარის მისადგომებს ტოვებდნენ უყურადღებოდ. რამდენიმე სახიფათო ბურთის აღება მოუხდა საბჭოთა ნაკრების მეკარეს ო. ბოვინს, რომელმაც ამ შეხვედრაში უზადოდ ითამაშა.

მესამე პერიოდში საბჭოთა ოლიმპიელებმა კვლავ შეძლეს საქართველოს გუნდის დაცვით ხაზში ბზარის გამონახვა და მოედანზე ახალგამოსულმა დოლგუშინმა (№ 4) მეორედ აიძულა მეკარე მ. გულედანი გამოეტანა კარიდან ბურთი.

იგრძნეს რა მარცხის მოახლოება, ქართველმა წყალბურთელებმა კვლავ შეუტიეს მეტოქის კარს. ვ. ისელიძემ მოახერხა თავისი პირადი მეურვის, თავდამსხმელთა „რისხვის" გ. ჩიქვანაიას მოტყუება, ბოვინის პირისპირ აღმოჩნდა და გოლი საბჭოთა ნაკრების კარში გარდუვალი შეიქნა. ჩიქვანაიამ ისღა მოახერხა, რომ აკრძალული ილეთით სცადა შეეშალა ხელი ისელიძისთვის. თუმცა ამ უკანასკნელის მიერ მძლავრად ნატყორცნი ბურთი მეტოქეთა კარის ბადეში გაეხვია, მსაჯმა სწვსებით სამართლიანად დანიშნა ოთხმეტრიანი საჯარიმო ტყორცნა, რომელიც იმავე ისელიძემ ჩვეული ოსტატობით შეასრულა.



საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ჟ. ბოუენსი (ბელგია).
მეგობრული შარჟი ვ. ბარნაბიშვილისა.

მისი თანაგუნდელები ამ გოლმა აღაფრთოვანა და ისინი უფრო ენერგიულად ამოქმედდნენ. საგოლე მომენტები უხვად იქმნებოდა ევროპის ჩემპიონთა კართან, მაგრამ საბჭოთა ოლიმპიელები მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ და სასურველ შედეგს მასპინძლებმა ვერა და ვერ მიაღწიეს.

იერიშით გართულმა ქართველმა წყალბურთელებმა მესამე პერიოდის ბოლო წუთზე კვლავ მოადუნეს ყურადღება და დაისაჯნენ: ბარკალოვმა უკან მოიტოვა მიმინოშვილი და უძლიერესი ტყორცნით მესამედ შეარხია მეტოქის კარის ბადე.

დასკვნით პერიოდში გულედანი დებიუტანტმა გ. მალანიამ შეცვალა. მან რამდენიმე „მკვდარი" ტყორცნის მოგერიება შესძლო. ვერც დოლგუშინისა და სკოკის, ვერც შიდლოვსკისა და სემიონოვის ტყორცნა მიზანს ვერ აღწევდა.

მე-18 წუთზე მასპინძლების კარში დაინიშნა ოთხმეტრიანი საჯარიმო. ორი წუთით ადრე ადგილობრივმა დიქტორმა ამცნო მაყურებლებს, რომ „არარატის" ფეხბურთელებთან მატჩში მეკარე ურუშაძემ ამ სეზონში მესამედ მოიგერია თერთმეტმეტრიანი საჯარიმო. აქაც, აუზში, პირისპირ დარჩნენ საჯარიმო დარტყმების უბადლო ოსტატი ბარკალოვი და ახალბედა ქართველი მეკარე მალანია. მალანია არ შეუშინდა გამოცდილ მეტოქეს, ალღო აუღო ბარკალოვის გამიზნვას. როცა მსაჯის ხასტვენზე ამ უკანასკნელმა მძლავრად ტყორცნა ბურთი მარცხენა „ცხრიანში", მალანია შეიმართა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ევროპის ჩემპიონებთან დაძაბულმა თამაშმა მოქანცა ქართველი წყალბურთელები. მხოლოდ ამ მიზეზით შეიძლება აიხსნას გუნდის უფერული თამაში მეორე დღეს ჰოლანდიელებთან. ჰოლანდიელები გოლიათური აღნაგობით, სისწრაფითა და უზადო ტექნიკით გამოირჩევიან. ბოლო დროს მათ „უღალატეს" თავიანთ კონსერვატულ ბუნებას და თამაშის აკადემიური მანერაც შეცვალეს: არ გაურბიან ჭიდილს, საკმაოდ ოსტატურად ასრულებენ პრესინგს და სწრაფ კონტრიერიშებს ატარებენ. რასაკვირველია, ჩვენების შეთავაზებული პოზიციური თამაში მათ ყოველმხრივ ხელს აძლევდათ, მით უმეტეს, რომ მასპინძელთა გუნდის კაპიტანმა და ლიდერმა ო. მიმინოშვილმა ბოლო ხანებში სწორედ პოზიციურ თამაშს მიმართა. იგი ადგილს კარის უშუალო მისადგომებთან ირჩევს და მოთამაშეები აქ ბურთს აწვდიან. ასეთი თამაშის პიონერად წყალბურთს თავის დროზე ჩვენი თანამემამულე პეტრე მშვენიერაძე მოევლინა. მშვენიერაძე ფენომენალური ფიზიკური მონაცემებისა და ზღაპრული ტექნიკური არსენალის მქონე წყალბურთელი იყო. მას სხვათაგან განსხვავებით ძალუძდა ორი მეურვე „წამოეკიდებინა" ზურგზე, ამ ცოცხალი ტვირთით დამძიმებული მძლავრი ბიძგით მუხლებამდე ამოსულიყო წყლიდან და ყოველნაირი ტყორცნით აეღო მეტოქეთა კარი. მაგრამ ეს იყო მშვენიერაძე, ფენომენი, როგორიც, ალბათ, სპორტის არც ერთ სახეობას არ ჰყოლია მსოფლიოში. ომისშემდგომ წყალბურთში მან პირდაპირ რევოლუცია მოახდინა და ერთნახევარი ათეული წლის მანძილზე იყო მისი მებაირახტრე. თითქმის ყველა გუნდმა მიმართა თამაშის ტაქტიკას ცენტრალური გამთამაშებლით, მაგრამ ვერა და ვერ გამონახეს მშვენიერაძის ბადალი. და მაშინ მათ დაიწყეს ახალი ტაქტიკური ვარიანტების ძიება, რათა უვნებელეყოთ ადგილზე მოთამაშე ცენტრალური.

მშვენიერაძე ბრწყინვალე ტაქტიკოსიც იყო და დიდი ერუდიციის სპორტსმენიც. მან თანმიმდევრობით შეცვალა თამაშის მანერა, ჯერ გამთამაშებელ შუამარბად იქცა, მერე უკან დაიხია და მოძრავ, გამსვლელ თავდამსხმელად მოგვევლინა შემდგომ კალათბურთელთა მსგავსად, უკანა ხაზიდან დაიწყო გამთამაშებლად თამაში. მთავარი კი ის იყო, რომ მან შეათამაშა ბრწყინვალე თავდამსხმელები: გვახარია, კარტაშოვი, გრიგოროვსკი, შიდლოვსკი, შემტევი მცველები: უშაკოვი, ტეპლოვი, გრიშინი და სხვ.

მიმინოშვილმა კი, დაიკავა რა მეტოქეთა კარის უშუალო მისადგომები, შებოჭა თავისი პარტნიორები, გზა გადაუღობა შემტევ თავდამსხმელებსა და მცველებს: ისელიძეს, სანაძეს, წიკლაურს, შეაფერხა მათი მიზანსწრაფვა გავლითი იერიშით კარის აღებისა. ამავე დროს, მიმინოშვილი ცოტა მწყრალად არის ცურვასთან და როცა ბურთს მოწინააღმდეგენი ეუფლებიან, უკან არ იხევს თავის მეურვესთან ერთად. ეს უკანასკნელი მთელი სისწრაფით მიემართება ქართველ წყალბურთელთა მოედნის ნახევარზე და აქ რიცხობრივ უპირატესობას ქმნის. მძაფრი კონტრშეტევის დროს ექსტრა-კლასის გუნდებსაც უჭირთ ზონალურ დაცვაზე გადასვლა. საერთოდ, წყალბურთელებმა კარგად ისწავლეს რიცხობრივი უპირატესობის გოლებად ქცევა და არც ჩვენი გუნდი რჩება დაუსჯელი. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ამ ჯიუტი ტაქტიკის გამო ხშირად გვიხდება ცენტრიდან ბურთის თამაშში შეყვანა. საქმე ისაა, რომ იგი აფერხებს პერსპექტიულ მოთამაშეთა ზრდას, ბორკავს მათ, ზღუდავს ცალკეულ წყალბურთელთა ტაქტიკას და გუნდის ოპერატიულ სივრცეს.

მიმინოშვილს გოლიათური აღნაგობის სპორტსმენი, საერთაშორისო ბრძოლებში გამობრძმედილი ჰ. ჰოხფელდი მეურვეობდა. ჰოხფელდს თავის დროზე მშვენიერაძის წინააღმდეგ უთამაშია და მისთვის მიმინოშვილის უხერხემლო თამაშის უვნებელყოფა დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა.

მსაჯი — ესპანელი მათეო მანგელოტი სამართლიანად არ აქცევდა ყურადღებას მიმინოშვილის უსასრულო აპელაციებს, ხოლო ჰოხფელდი არ თვლემდა, თამამად გადიოდა ჩვენს მოედანზე და გასწვრივი გადაცემებით იქ საგოლე მომენტებს ქმნიდა.

ქართველი წყალბურთელები შებოჭილად მოქმედებდნენ. შემდეგ ნერვებმაც იჩინა თავი. ისელიძემ ოთხმეტრიანი საჯარიმო ტყორცნა აცდინა კარს. შემდგომი საჯარიმო მიმინოშვილმა მწვრთნელთან შეუთანხმებლად სანაძეს მიანდო. მასაც უღალატა ნერვებმა. სამაგიეროდ, ჰოლანდიელები ჩვეული სიდინჯით მოქმედებდნენ და უზადოდ ასრულებდნენ საჯარიმო ტყორცნებს. საბოლოოდ მათ შეძლეს თამაშის მოგება — 5:3.

მომდევნო შეხვედრაში ჰოლანდიელებმა იოლად (8:4) სძლიეს ბულგარელებს და საბოლოოდ II ადგილი მოიპოვეს. საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები III ადგილზე გავიდა, ჩეხოსლოვაკიელებმა IV ადგილი დაიკავეს. ბულგარელებმა ვერც ერთხელ ვერ იზეიმეს გამარჯვება, მაგრამ მზარდი კოლექტივის შთაბეჭდილება მაინც დატოვეს. ეს ტურნირი მათთვის საუკეთესო სკოლად იქცა. ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში ბულგარელი წყალბურთელები მრისხანე მეტოქეებად მოევლინებიან ოლიმპიურ და მსოფლიო ასპარეზს.

შეჯიბრების დახურვას უამრავი მაყურებელი დაესწრო. საერთაშორისო ჟიურიმ გაანაწილა დაწესებული პრიზები. „გათამაშების საუკეთესო მეკარის" პრიზი მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრების წევრმა ო. ბოვინმა, „საუკეთესო მცველისა"—ბულგარელმა ს. ბონევმა, „საუკეთესო თავდამსხმელისა"—საბჭოთა ნაკრების კაპიტანმა ვ. სემიონოვმა, „გუნდის ყველაზე შედეგიანი მოთამაშისა" — ჩეხოსლოვაკიელმა ი. სადილამ, „ყველაზე კორექტული მოთამაშისა" — ჰოლანდიელმა ჰ. ჰოხფელდმა, „ყველაზე ახალგაზრდა მონაწილისა" — საქართველოს ნაკრების წევრმა, 17 წლის ნ. კურტანიძემ.

საერთაშორისო ჟიურის დადგენილებაში აღნიშნულია შეჯიბრების ბრწყინვალე ორგანიზაცია და გულუხვი მასპინძლობა.

ჟიურიმ მოუწოდა წყალბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრებს მიბაძონ საქართველოს, აჭარისა და თბილისის ფედერაციებს.

ვ. ბარნაბიშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

თ. ჭიჭინაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

## სსრ კავშირის პირველობა

## „ბ" ჯგუფი

27 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### ზუგდიდიდან...

ადგილობრივმა „ენგურმა" აღმავლობით დაიწყო მიმდინარე გათამაშების მეორე წრის მატჩები, მაგრამ სტუმრად ძალიან ცუდად ითამაშა მახარაძეში, ხოლო განვლილ ტურში ისევ განიცადა მარცხი საკუთარ მინდორზე ლანჩხუთის „გურიასთან".

მართალია, დასაწყისში მასპინძლებს ანგარიშის გახსნის რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ, კერძოდ, აბრალავამ ძელს მოახვედრა ბურთი, ხოლო ალმასიამ ახლოდან ააცილა მიზანს, მაგრამ მალე ინიციატივამ მთლიანად ლანჩხუთელთა მხარეს გადაინაცვლა. სტუმრების იერიშებს შედეგიც მოჰყვა. ჯერ საუდიამ გაიტანა ბურთი შორიდან, ხოლო შემდეგ პერტენავა — ძიძიგური — სიხარულიძის სწრაფი კომბინაცია მეორე გოლით დამთავრდა „ენგურის" კარში.

შესვენების შემდეგ ზუგდიდელებმა ძალიან შეავიწროეს „გურია" — სტუმრების უკანა ხაზების მოთამაშეებმა და მეკარე კირვალიძემ დიდი ჯაფა გადაიტანეს, მაგრამ მათთვის ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

2:0 — ასე გამარჯვა „გურიამ".

ბ. ალშიბაია.

### სოხუმიდან...

ადგილობრივი „დინამოსა" და ქობულეთის „შუქურას" მატჩი თავიდანვე სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა. ქობულეთელებმა პირველ წუთებზევე რამდენიმე მწვავე მომენტი შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ თავდამსხმელთა ნაჩქარევი მოქმედების გამო ანგარიში არ გახსნილა. დაახლოებით შუა ტაიმში უპირატესობას დინამოელები დაეუფლნენ და ახლა შუქურას კართან იქმნებოდა დაძაბული მომენტები. მაგალითად, ეზუბაიას და უზუნიანს ჰქონდათ გოლის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა.

28-ე წუთზე წოწორიამ ზუსტი გადაცემით კარგ პოზიციაში გაიყვანა ლოლუა და სოხუმელთა ამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა გოლით დაამთავრა დარტყმა.

შესვენების შემდეგ თამაში რატომღაც გაუფერულდა, ორივე გუნდმა უკლო ტემპს. 68-ე წუთზე პოლტარიდიმ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ამაზე შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა მატჩის რეცენზიისთვის, მაგრამ არ შეიძლება უყურადღებოდ იქნას დატოვებული „შუქურას" ზოგიერთი ფეხბურთელის ყოვლად უმგვანო საქციელი. 82-ე წუთზე ხაშურელმა მსაჯმა ლ. ჯოხაძემ საჯარიმო დანიშნა „შუქურას" მხარეს. ეს არ მოეწონა ზოგიერთ ქობულეთელ ფეხბურთელს, კერძოდ, ბაღდასარიანს და გაგნიძეს. ისინი ხულიგნურად მიმართავდნენ მსაჯს და ეს უკანასკნელი იძულებული იყო მინდვრიდან გაეძევებინა წესრიგის დამრღვევნი. ბაღდასარიანმა და გაგნიძემ არ ისურვეს მსაჯის სამართლიანი მოთხოვნის შესრულება და თამაში დაახლოებით 10 წუთით შეწყდა. ქობულეთელებმა მხოლოდ მაშინ „იკადრეს" თამაშის გაგრძელება, როცა მინდორზე გამოვიდა მათი მწვრთნელი ტ. ეპიტაშვილი.

მინდვრიდან გასვლის დროს ბაღდასარიანმა უწმაწური სიტყვებით მიმართა გვერდით მსაჯს. ასეთი საქციელი უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს „შუქურას" ხელმძღვანელობამ.

ზ. ჯალაღონია.

### ჭიათურიდან...

„მაღაროელმა" კვლავ სუსტად ითამაშა, თუმცა მისი მეტოქე ამჯერად იყო ზონის ერთ-ერთი აუტსაიდერი — გროზნოს „ უროჟაი". სტუმრებს მატჩის მსვლელობაში არ ჰქონდათ ოდნავი უპირატესობაც კი, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაქსიმალურად გამოიყენეს მოწინააღმდეგის კართან შექმნილი რამდენიმე მომენტი. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს 50-ე წუთზე, როცა ნაიდენოვმა ზუსტად დაარტყა საჯარიმო.

საპასუხო გოლი ათიოდე წუთის შემდეგ გაიტანა მახარობლიშვილმა და, თუმცა, მაღაროელები საკმაო უპირატესობას ფლობდნენ, მეტოქის კარის წინ ჩქარობდნენ, იბნეოდნენ და ხელსაყრელ მომენტებს კარგავდნენ.

მატჩის დამთავრებას სულ რამდენიმე წუთი აკლდა, როცა ვორობიევმა შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა და გამარჯვება მოუტანა „უროჟაის" — 2:1.

თ. შეყილაძე.

### რუსთავიდან...

განვლილ ტურში რუსთავის „მეტალურგი" შინ ეთამაშა გურჯაანის „ალაზანს".

ბურთი კარგა ხანს მინდვრის შუაგულში ტრიალებდა და არც ერთი გუნდი არ იჩენდა რამდენადმე მაინც შესამჩნევ აქტიურობას. 23-ე წუთზე „მეტალურგის" მცველი რეხვიაშვილი გარღვევაზე გავიდა და ზუსტად გაგზავნა ბურთი „ალაზნის" კარში — 1:0.

გურჯაანელებმა მარცხს ძლიერი იერიშებით უპასუხეს და რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ (მაგალითად, ჩლაიძემ შეძლო ზაქარეიშვილის ძლიერი დარტყმის მოგერიება), ჯანელიძემ 38-ე წუთზე გაქვითა ანგარიში — 1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში კუპრაშვილმა მოულოდნელი დარტყმით დააწინაურა „ალაზანი" — 2:1. ამას მოჰყვა მასპინძლების ხანგრძლივი, ძლიერი შეტევა. გურჯაანელებმა ვერ შეძლეს გამარჯვების შენარჩუნება და ორ წუთში ზედიზედ 2 გოლი მიიღეს: ჯერ მეტრეველმა გაიტანა ბურთი, ხოლო შემდეგ მისი გადაცემა კარგად გამოიყენა იმერლიშვილმა. გამარჯვება წილად ხვდა „მეტალურგს" — 3:2.

რ. ბაბრიჭიძე.

[illegible]

### ცაგერი

აქ პირველად მოეწყო ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება, რომლის ინიციატორები იყვნენ ძველი ფეხბურთელები დ. კოპალიანი, ა. გოკიძე, მ. კოპალიანი და სხვ. ისინი ხელმძღვანელობდნენ უბნებად დაყოფილი გუნდების ასპარეზობას. ტურნირი დამთავრდა მახარაძის ქუჩის უბნის გუნდის გამარჯვებით.

ბ. ხვადაგიანი.

### ჩოხატაური

დამთავრდა რაიონის თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩაისუბნისა და გორაბერეჟოულის გუნდები. გაიმარჯვეს ჩაისუბნელებმა — 4:2.

დ. ბურგენიძე.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „დურუჯი" (ყვარელი) — „სინათლე" (თბილისი) 0:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

მიუხედავად იმისა, რომ ამ მატჩში ანგარიში არ გახსნილა, ორივე გუნდი მონდომებით და ენერგიულად იბრძოდა. კარგი თამაშით გამოიჩინეს თავი მცველებმა და მეკარეებმა.

● „არაგვი" (მცხეთა) — „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) 0:0. მსაჯი რ. კანჭარაშვილი (თბილისი).

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „საგარეჯო" (საგარეჯო) 3:0. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).

● ასკ (თბილისი) — „სულორი" (ვანი) 1:1. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

არმიელებმა დიდი ტერიტორიული უპირატესობით დაიწყეს თამაში. გოლი ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი და იგი გავიდა კიდეც, მაგრამ არა „სულორის", არამედ თბილისელთა კარში: მასპინძელთა დაცვის შეუთანხმებელი თამაში კარგად გამოიყენა ასათიანმა. მასპინძლებმა (ლობზევი) მალე გაქვითეს ანგარიში და დასჯერდნენ 1 ქულას.

● „ისანი" (თბილისი) — „სპარტაკი" (ბორჯომი) 1:0. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

თბილისელებმა ჯერ უხალისოდ დაიწყეს თამაში, მაგრამ მათი საერთო უპირატესობა თანდათან შესამჩნევი ხდებოდა. 37-ე წუთზე გოცირიძემ კარგად გამოიყენა საჯარიმო დარტყმა და აიღო ბორჯომელთა კარი. შემდგომში „ისანს" არ გასჭირვებია გამარჯვების შენარჩუნება.

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „ფერიქარი" (წულუკიძე) 2:1 (1:1). მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

● „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 0:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „მესხეთი" (ახალციხე) 2:0. მსაჯი ო. ჩიქობავა (ცხაკაია).

● „სამცხე" (აწყური) — „ეგრო" (გალი) 2:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● „მშენებელი" (სიღნაღი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 0:2. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).

საერთო უპირატესობა თითქოს სიღნაღელთა მხარეს იყო, მაგრამ მათი თავდამსხმელები ერთობ უხეიროდ ურტყამდნენ კარში. ამავე დროს, სიღნაღელები დაცვაში ხშირად ცდებოდნენ, რითაც კარგად ისარგებლეს რკინიგზელებმა და ჯერ მანჯგალაძემ იზეიმა მეტოქის კარის აღება, მერე კი დოლიძემ.

● „ლაითური" (მახარაძის რაიონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:0. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).


ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საზღვარგარეთის პრესის მიმოხილვა

# „თუ შეიძლება, ხელი მოაწერეთ!“

ახალი ამბავი სამყაროდან

ამერიკის სპორტის მესვეურებმა მოუხდებათ ზანგ ოლიმპიელებს მიმართონ ამ წინადადებით, უფრო სწორად, მოთხოვნით: „თუ შეიძლება, ხელი მოაწერეთ!“ ყოველ შემთხვევაში, იუპი-ს სააგენტო მსოფლიოს სპორტულ საზოგადოებას აცნობს ამერიკის სამოყვარულო ათლეტური კავშირის პრეზიდენტის დ. ა. მეტლინის განცხადებას. მასში ნათქვამია, რომ ყველა ამერიკელმა სპორტსმენმა (სინამდვილეში კი ლაპარაკია მხოლოდ ზანგ სპორტსმენებზე), რომლებიც საუტ ლეიკ ტახოს შესარჩევი შეჯიბრებების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდებიან, წერილობით უნდა დადონ პირობა, რომ უეჭველად გამოვლენ მეხიკოში.

„ეს აუცილებელია ზანგი სპორტსმენების ბოიკოტის გამო,— თქვა მეტლინმა. — ზანგებს შეუძლიათ ბოლო წუთებში თქვან უარი მექსიკაში გამგზავრებაზე იმ იმედით, რომ მათ ვერავინ შეცვლის. ვისაც სურს ბოიკოტი გამოუცხადოს ოლიმპიურ თამაშებს, მან ახლავე დატოვოს სარბენი ბილიკი. მაგრამ თუ სპორტსმენს ნაკრებში შეიყვანენ, იგი ვალდებულია წერილობით დადოს პირობა, რომ ღირსეულად გამოვა თავისი ქვეყნის სახელით... თუ სპორტსმენი თავისი საქციელით ეროვნულ ნაკრებს მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს, მას სამუდამო დისკვალიფიკაცია უნდა მიეცეს“.

მაშ ასე, ამერიკული სპორტის მესვეურები იძულებული არიან წინასწარ დაიზღვიონ თავი. ისინი არ არიან დარწმუნებული, რომ დელეგაციის საბოლოოდ ჩამოყალიბების დროს რაიმე უსიამოვნებას არ გადაეყრებიან. ასეთი პრეცედენტი ოლიმპიური მოძრაობის ისტორიას არ ახსოვს.

ბოლო სენსაცია: ერლ მაკ-კალოპი მეხიკოში არ გამოვა. ვინ არის მაკ-კალოპი და რატომ მოახდინა ამ ცნობამ ასეთი ფურორი?

ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხს იძლევა იტალიის გაზეთი „პაეზე სერა“ წერილით „ოტოზს გზა ხსნილი აქვს“. ოტოზი ევროპის უძლიერეს თარჯმორბენლად ითვლება, მაკ-კალოპი კი სპეციალისტებს ოლიმპიური ოქროს მედლის მთავარ კანდიდატად მიაჩნიათ. ამ 22 წლის ზანგმა, მსოფლიო რეკორდსმენმა 110 მეტრსა და 120 იარდზე თარჯრბენში, რამდენიმე დღის წინ ხელშეკრულება დადო ფეხბურთელთა პროფესიულ გუნდთან „დეტროიტელი ლომები“.

წინაოლიმპიური შესარჩევი შეჯიბრებების დროს ერლი დაეცა და დისტანცია მეშვიდემ დაამთავრა. მიუხედავად ამისა, იგი გამონაკლისის სახით დაუშვეს გადამწყვეტ შეჯიბრებაში, რომელიც 12-19 სექტემბერს ჩატარდება საუტ ლეიკ ტახოში. მაგრამ მაკ-კალოპმა გადაწყვიტა ბედი არ ეცადა და სავსებით რეალურ ოქროს მედალს მომგებიანი ხელშეკრულება ამჯობინა (75 ათასი დოლარი).

„მაკ-კალოპის წასვლით ამერიკის გუნდს დიდი ძალა მოაკლდა, — წერს „პაეზე სერა“. — ზანგი სპორტსმენი აბსოლუტური ფავორიტი იყო 110 მეტრზე თარჯრბენში და ესტაფეტაში 4×100 მეტრზე. მას ჩინებული სასტარტო ბიძგი აქვს“.

ცნობილია, რომ ადრე მაკ-კალოპმა სოლიდარობა გამოუცხადა ზანგ სპორტსმენთა საბოიკოტო მოძრაობას, შესარჩევი შეჯიბრების წინ კი მიატოვა ამერიკის გუნდი.

ამ რამდენიმე წლის წინ ასევე მოიქცნენ ოლიმპიური ჩემპიონები — ზანგები ჰ. კარი და ჯ. ჰეიესი. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ისინი ოქროს მედლების მიღების შემდეგ გადავიდნენ პროფესიონალებში. ამერიკული ფეხბურთი, როგორც ჩანს, სულ უფრო მეტად იზიდავს სპრინტერული რბენის ცნობილ ოსტატებს.

საინტერესოა ევროპის, ამერიკის, აზიისა და აფრიკის სპრინტერთა შედეგების შედარებითი ცხრილი, რომელიც ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა“ გამოაქვეყნა მრავალაზროვანი სათაურით: „ბამბიუკი, მილერი და საპეია ამერიკელთა ერთადერთი კონკურენტები არიან“. 100 მეტრი 10 წამზე სწრაფად ამერიკელი სპრინტერებიდან მხოლოდ სამმა გაირბინა. ევროპული კლასიფიკაცია კი ასეთია: ბამბიუკი (საფრანგეთი), საპეია (სსრ კავშირი), შელტერი (გდრ), მანიაკი (პოლონეთი), სინიაევი და ხლოპოტნოვი (ორივე — სსრ კავშირი).

200 მეტრზე მსოფლიოში უძლიერესთა სიას ფრეი (იამაიკა) მეთაურობს — 20,1 წამი. შემდეგ მოდის 16 ამერიკელი — 20,4-20,6. ევროპულ ელიტაში წინ არიან ბამბიუკი — 20,4, რომანოვსკი (პოლონეთი) და ბერუტი (იტალია) — 20,7 და სავჩუკი (სსრ კავშირი) — 20,8. ესტაფეტაში 4×100 მეტრზე საუკეთესო შედეგები ასეთია: საუნივერსიტეტო გუნდი „სანტა კლარა“ (აშშ) და საფრანგეთის ნაკრები — 39,0, გდრ-ის ნაკრები — 39,1.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ „ეკიპისთვის“ ცნობილი არ იყო ის შედეგები, რასაც საბჭოთა მძლეოსნებმა ლენინაკანის საკავშირო ჩემპიონატში მიაღწიეს 200 მეტრზე რბენაში.

მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე ფაქტს, რაც უთუოდ დააინტერესებს მძლეოსნობის მოყვარულებს.

მსოფლიო რეკორდსმენმა, ამერიკელმა სილვესტრმა ამ დღეებში უჩვეულოდ სტაბილური შედეგები აჩვენა ბადროს ტყორცნაში: 63,55; 62,65; 65,08; 64,82; 65,20.

აშშ-ს 85 სპორტსმენმა დატოვა საუტ ლეიკ ტახოს საწვრთნელი ბანაკი და კალიფორნიას გაემგზავრა დაბლობის ბილიკზე სავარჯიშოდ. სიმაღლეთა ასეთი ცვლა ამერიკელ სპეციალისტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ. მათი აზრით, ამის შემდეგ ხელახლა აკლიმატიზაცია საჭირო აღარ იქნება. საინტერესოა, რომ გაზეთები კვლავ არაფერს წერენ აშშ-ს მძლეოსანი ქალების მზადებაზე. რბენის ყველა დისტანცია სიგრძის ინგლისურ ზომებშია გამოთვლილი — იარდებსა და მილებში. გამონაკლისია მხოლოდ ჯ. რაიანი. მისი შედეგები 800 და 1500 მეტრზე აღინიშნება.

შვედი ლუნდკვისტი 217 სმ სიმაღლეზე გადახტა და დაამტკიცა, რომ მექსიკაში სერიოზულ ბრძოლას აპირებს.

კარინ ილგენმა (გდრ) პირადი რეკორდი დაამყარა ბადროს ტყორცნაში — 61,44 მ.

მიმოხილვას დავამთავრებთ პოლონეთიდან მიღებული ინფორმაციით, რომელიც ასეთი სათაურით გამოქვეყნდა: „ერთი მამაკაცი და თორმეტი ქალი“. ამ ქვეყნის ოლიმპიურ მძლეოსნურ გუნდში ერთადერთი ვაჟი შედის. ესაა მარათონული რბენის მონაწილე ოდ. სტეილენი.



## დაღუპულ მებრძოლთა ობელისკთან

გორის ბამბეულის კომბინატის ახალგაზრდებში დიდი სიყვარულით სარგებლობს ტურიზმი. ამას წინათ ფეიქრებმა ლაშქრობა მოაწყვეს სანჭაროს უღელტეხილზე, სადაც დიდი სამამულო ომის წლებში იბრძოდა თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტთა პოლკი. ბევრმა ქართველმა ვაჟკაცმა სამუდამო ბინა ჰპოვა უღელტეხილის მიდამოებში.

ლაშქრობა მიეძღვნა კომკავშირის 50 წლისთავს. მასში 18 ტურისტი მონაწილეობდა.

• • •

სურათზე: გორელი ფეიქრების ჯგუფი სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა ობელისკთან.

ფოტო და ტექსტი ა. ტაბატაძისა და ნ. ღვალისა.

### ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

## მამაცთა ოთხეული

დუშანბე, 27 აგვისტო. სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ოვჩინიკოვი, სპორტის ოსტატები ე. მასლოვსკი, ვ. გლუხოვი და ვ. ივანოვი მთამსვლელობის ისტორიაში პირველად ავიდნენ პამირის უმაღლეს მწვერვალზე—კომუნიზმის პიკზე სამხრეთ-დასავლეთის ვერტიკალური კედლით.

— მთელი მსოფლიოს მთამსვლელები მრავალი წლის მანძილზე ცდილობდნენ კომუნიზმის პიკზე ასვლას ჩვენი მარშრუტით, — უთხრა დღეს საქდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა ოვჩინიკოვმა, — მაგრამ ყველა ცდა ამაო იყო.

ჩვენი ჯგუფი ათი კაცის შემადგენლობით პამირს ივნისის შუა რიცხვებში ეწვია. ორი თვის განმავლობაში ვსწავლობდით ამ ურთულესი ტრავერსის თავისებურებებს და დახასიათებას. 2500 მ სიმაღლის ვერტიკალური კედლის პროფილი ძალიან რთულია. გზის ორ მესამედზე ქვის ზვავები კეტავდა გზას. ხანდახან კარვის გასაშლელი მოედნის მომზადებაც არ ხერხდებოდა. ვიჯექით და ისე გვეძინა ჰაერზე. სულ ასვლას (დამუშავების გარეშე) 9 დღე-ღამე დასჭირდა. ზოგჯერ მონაწილენი დღეში მხოლოდ 100-200 მეტრს გადიოდნენ. ამინდი ცუდი იყო, ხშირად თოვდა და სავალი აღარ ჩანდა.

წლეულს კომუნიზმის პიკზე საბჭოთა სპორტსმენების დიდი ჯგუფი ავიდა („ტრუდისა“ და „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლები). მთამსვლელთა ჯგუფმა ვ. ბოროდკინის ხელმძღვანელობით მწვერვალზე დატოვა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა XXI საუკუნის ახალგაზრდობისადმი.

### წარსულის ფურცლები

# ზუსტად 45 წლის წინათ

ბევრი ქართველი სპორტსმენის სახელი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ბევრი ჩვენი თანამემამულე მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტულს ატარებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მაგრამ ასე როდი იყო ამ ხუთი ათეული წლის წინათ, სოციალისტური რევოლუციის პირველ წლებში, როცა ის-ის იყო ფეხს იდგამდა სპორტული მოძრაობა.

20-ანი წლების ჟურნალ-გაზეთებზე მუშაობისას გაზეთ „ტრიბუნას“ ერთ-ერთ ნომერში წავაწყდით ცნობას, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მთამსვლელობის მოყვარულთათვის. ტექსტი მოგვყავს უცვლელად:

„პროფესორ ა. დიდებულიძის მეთაურობით მყინვარზე გამგზავრებული ექსპედიცია.

კარგად ჩავედით სტეფანწმინდაში. 26-ს დილით, 10-ნახევარ საათზე გავედით ტფილისიდან. ღამე ვიყავით ფასანაურში. 27-ს დილის 5 საათზე გავედით ფასანაურიდან და სტეფანწმინდაში ვიყავით დილის 11 საათზე. იმავე დღეს და მეორე დღეს სწარმოებდა დაკვირვება-გამოკვლევები.

28-ს ავედით სამების ეკლესიაზე, სადაც დიდი დღესასწაული იციან. მოხევეები დიდი სიხარულით გვხვდებოდნენ. უმთავრესად მათ ახარებდათ ის, რომ ჩვენ ვიყავით ქართველები. შევარდნებს — სპარტაკელებს ვერ ჩავუსწარით: ერთი დღით ჩვენზე წინ გასულან.

ჩვენ კი დღეს 29-ს შევუდექით მყინვარზე ასვლას. გავდივართ სტეფანწმინდიდან დილის 8-ნახევარ საათზე. მყინვარიდან ჩამოვიდნენ გამყოლები და გადმოგვცეს ცნობა სპარტაკელთა შესახებ. 27 ქალ-ვაჟი ასულა ერმოლოვის ქოხამდის, 18 კი ასულა თვით მყინვარის წვერზე. ძალიან მარდათ ადიოდნენო როგორც ქალები, ისე ვაჟები, გვეუბნებოდნენ გამყოლი მოხევეები.

ამინდი კარგი დგას. ხელს გვიწყობს მყინვარი პატარძალი, როგორც მოხევეები ეძახიან მას: ხან გადასუფთავდება, ხან კი ნისლით იფარება. საერთოდ დიდებული სანახაობა ყველას გვიტაცებს. მხნედ მივიწევთ მყინვარისაკენ.

ყველანი კარგათ ვართ. ვუთვლით სალამს ყველას.

გთხოვთ გაზეთებს „კომუნისტ“-ს და „მუშა“-ს გადაბეჭდონ ეს მოკლე ცნობა.

სამეცნიერო ექსპედიციის წევრი მკურნალი სოსო ასლანიშვილი.

29 აგვისტო, 1923 წელი, სტეფანწმინდა“.

ი. ცქიტიშვილი.

# გამოცდა რიგის ყურეში

რიგა, 27 აგვისტო. (საქდესი). აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი აფროსნობაში. ვინაიდან წლევანდელი სეზონი ოლიმპიურია, შეჯიბრებაც მხოლოდ ოლიმპიური კლასის იახტებით ტარდებოდა. ასეთი კლასი, როგორც ცნობილია, ხუთია — „5,5“, „ურჩხული“, „ვარსკვლავისებური“, „მფრინავი ჰოლანდიელი“ და „ფინი“. ასპარეზობის ადგილად რიგის ყურე შემთხვევით როდი აირჩიეს. ბალტიის ზღვა ჭირვეულია, საბჭოთა სპორტსმენებს კი მექსიკის ბატალიების წინ უნდა ეჩვენებინათ, რომ ყოველგვარ პირობებში ერთნაირი წარმატებით შეუძლიათ გამოსვლა.

მართლაც, შვიდი რბოლიდან თვეული სულ სხვადასხვაგვარ პირობებში ჩატარდა. ზღვა ხან წყნარი იყო, ხან ქარი ქროდა, ხან მზე ანათებდა, ხან წვიმა წამოვიდოდა...

სულ ჩემპიონატში 380 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ყველას არა, მაგრამ ბევრს ოლიმპიური საგზურის მოპოვების იმედი ჰქონდა. რატომ ყველას არა? იმიტომ, რომ ზოგიერთმა, მაგალითად, არხანგელსკელმა ი. ანისიმოვმა („ურჩხული“), მოსკოველმა ტ. პინეგინმა („ვარსკვლავისებური“) და მეორე მოსკოველმა კ. ალექსანდროვმა („5,5“) ადრევე მოიპოვეს ეს უფლება. ანისიმოვის ეკიპაჟმა წლეულს ევროპის ჩემპიონობა დაისაკუთრა „ურჩხულის“ კლასში, რაც, სხვათა შორის, პირველია საბჭოთა აფროსნობის ისტორიაში.

სსრ კავშირის ჩემპიონატში არ მონაწილეობდა კიდევ ერთი „იღბლიანი“ — კიეველი ვ. მანკინი. ამ ტურნირის დღეებში იგი ჰოლანდიას გაემგზავრა „ფინის“ კლასის წარმომადგენელთა ევროპულ ჩემპიონატში საასპარეზოდ.

გაგაცნობთ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელებს ყველა კლასში:

„5,5“ — ი. კისელიოვი, ვ. გორლოვი (ორივე — ლენინგრადი), მ. ბობრიცკი (ტალინი);

„ურჩხული“ — ი. შავრინი (მოსკოვი), ი. ანისიმოვი (არხანგელსკი), ე. კანსკი (რიგა);

„ვარსკვლავისებური“ — ბ. ბუდნიკოვი, ვ. სკაჩკოვი, ტ. პინეგინი (სამივე — მოსკოვი);

„მფრინავი ჰოლანდიელი“ — ლ. რვალოვი, ვ. ლეონტიევი, რ. ნოვოდეროჟკინი (სამივე — მოსკოვი);

„ფინი“ — რ. ბერდაში (რიგა), ა. ბალაშოვი (ლენინგრადი), ვ. გურიანოვი (ვოლგოგრადი).

სხვათა შორის, ოლიმპიელთა ნავები უკვე გაგზავნეს მექსიკაში.

სსრ კავშირის ჩემპიონატის გუნდურ ჩათვლაში პირველობდნენ შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები — 462,7 ქულა. II ადგილზე არიან „ვოდნიკის“ — 785,5 III — „ტრუდის“ აფროსნები — 802,1.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 11019